# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-1094

16/07/2021

ქ. თბილისი

**„შპს „იბერია ენერჯი“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №ი-199 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

2021 წლის 4 ივნისს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „იბერია ენერჯის“ დირექტორმა და ითხოვა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2003 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ბაკურიძე და კომპანიის“ მჟავე გუდრონისა და ნედლი ნავთობის პირველადი გამოხდის პერიოდული ციკლით მომუშავე მინი დანადგარზე (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. განთიადი) გაიცა №55 (20.06.2003) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოსდაცვითი ნებართვა, თუმცა მინისტრის შესაბამისი ბრძანება გამოცემული არ არის. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პერიოდისთვის დასკვნები გაცემულია შესაბამისი ბრძანების გარეშე, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

2010 წელს კომპანიამ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ჩამოყალიბდა შპს „ბაკოილის“ სახელით. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამინისტროს მიერ შპს „ბაკოილზე“ გაიცა ახალი სანებართვო მოწმობა შპს „ბაკოილზე“ გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 4 მაისის №ი-196 ბრძანებით. 2013 წელს შპს „ბაკოილმა“ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ჩამოყალიბდა შპს „იბერია ენერჯის“ სახელით. შესაბამისად, შპს „იბერია ენერჯიზე“ გაიცა ახალი სანებართვო მოწმობა „შპს „იბერია ენერჯი“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №ი-199 ბრძანებით.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმო 2015 წლიდან აღარ ფუნქციონირებს და საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს დასკვნის გაუქმებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „შპს „იბერია ენერჯი“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №ი-199 ბრძანება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „იბერია ენერჯის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „იბერია ენერჯი“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №ი-199 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „იბერია ენერჯის“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „იბერია ენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი